GÜRTİAD

HAFTALIK EKONOMİ BÜLTENİ

კვირის ეკონომიკური გამოცემა

2021 / 12 Mart/მარტი

Nüfus / მოსახლეობა	GSYİH ($) / მშპ ($)	GSYH (büyüme) /მშპ	İşsizlik / უმუშევრობა	Enflasyon / ინფლაცია
3 716.9	4 696.2	% 5.0	18.5%	3.6 %

Gürcistan Başbakanı'nın Türkiye Büyükelçisi ile görüşmesi
საქართველოს პრემიერ-მინისტრის შეხვედრა თურქეთის ელჩთან

Gürcistan Başbakanı Irakli Gharibashvili, Türkiye'nin Gürcistan Büyükelçisi Fatma Ceren Yazgan ile görüştü.

Görüşmede, Gürcistan ve Türkiye arasındaki stratejik ortaklık ve ikili işbirliği gündemindeki ana konular ele alındı.

Başbakan diplomata, Türkiye'nin Gürcistan'ın egemenliği ve toprak bütünlüğüne verdiği güçlü destek ve Gürcistan'ın Avrupa-Atlantik yapılarına entegrasyonu için teşekkür etti.

Görüşmede ekonomik işbirliği konuları ele alındı. Ortak bölgesel projelerin Gürcistan ile Türkiye arasında etkili stratejik ortaklığın, sürdürülebilir kalkınmanın ve güvenilir işbirliğinin açık bir örneği olduğu kaydedildi.

Toplantı, COVID-19 salgınının ortaya çıkardığı zorluklara odaklandı ve bu alandaki ortaklarla işbirliğinin bir öncelik olmaya devam ettiğini, çünkü küresel pandemiyi yenmenin yalnızca ortak çabalarla mümkün olduğunu belirtti.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი თურქეთის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს საქართველოში ფატმა ჯერენ იაზგანს შეხვდა.

შეხვედრაზე საუბარი საქართველოსა და თურქეთის სტრატეგიულ პარტნიორობას და ორმხრივი თანამშრომლობის დღის წესრიგის ძირითად საკითხებს შეეხო.

პრემიერ-მინისტრმა დიპლომატს საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის, ასევე საქართველოს ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის მიმართულებით თურქეთის მტკიცე მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა.

საუბრისას განიხილეს ეკონომიკური თანამშრომლობის საკითხები. აღინიშნა, რომ ერთობლივი რეგიონული პროექტები საქართველოსა და თურქეთს შორის ეფექტიანი სტრატეგიული პარტნიორობის, მდგრადი განვითარებისა და საიმედო თანამშრომლობის ნათელი მაგალითია.

შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა COVID-19-ის პანდემიისას შექმნილ გამოწვევებზე და აღინიშნა, რომ პარტნიორებთან თანამშრომლობა ამ მიმართულებით კვლავაც პრიორიტეტულია, ვინაიდან გლობალური პანდემიის დამარცხება მხოლოდ ერთობლივი ძალისხმევით არის შესაძლებელი.

AK YIL ZEMIN ARKAS GEORGIA LLC EM Ermed GEORGIA İŞBANK KOÇ KABLO LC WAIKIKI ნაბახტარი MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports Ziraat Bankası

Yabancı uyruklu vatandaşların Türkiye'ye giriş koşulları değişti

უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის თურქეთში შესვლის პირობები შეიცვალა

Türk tarafının kararına göre koronavirüsün yayılmasını önlemek için ülkeye giriş kuralları ve şartları değiştirildi.

15 Mart'tan itibaren Türkiye'ye giriş yapmak isteyen yabancı uyrukluların seyahatten önceki son 72 saat içinde Sağlık Bakanlığı web sitesinde elektronik başvuru formu doldurmaları gerekmektedir.

Bu yönetmeliğin amacı, koronavirüs enfeksiyonu durumunda enfekte olmuş vatandaşın ve temaslılarının tespitini kolaylaştırmaktır.

Ek olarak, yolcunun kişisel verilerini girdikten sonra, sistem ülke içinde hareket etmek için gerekli olan "HES" kodunu otomatik olarak üretir.

Başvuru aşağıdaki bağlantıdan doldurulabilir: https://register.health.gov.tr/...

თურქული მხარის გადაწყვეტილებით, კორონავირუსის გავრცელების პრევენციის ფარგლებში, ქვეყანაში შესვლის წესები და პირობები შეიცვალა.

15 მარტიდან, თურქეთის ტერიტორიაზე შესვლის მსურველი უცხო ქვეყნის მოქალაქეები ვალდებულნი არიან, მგზავრობამდე ბოლო 72 საათის განმავლობაში, შეავსონ ქვეყნის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ვებ-გვერდზე განთავსებული ელექტრონული განაცხადის ფორმა.

აღნიშნული რეგულაციის მიზანია, კორონავირუსით ინფიცირების შემთხვევაში, გაადვილდეს დაინფიცირებული მოქალაქისა და მისი კონტაქტების გამოვლენის პროცესი.

ამასთან, მგზავრის პირადი მონაცემების შეყვანის შემდეგ, სისტემა ავტომატურად ახდენს ე.წ. ,,HES“ კოდის გენერირებას, რაც საჭიროა ქვეყნის შიგნით გადაადგილებისას.

განაცხადის შევსება შესაძლებელია ქვემოთ მოცემულ ბმულზე: https://register.health.gov.tr/...

Parlamento'da Namakhvani HES projesi ile ilgili oturum yapıldı

პარლამენტში „ნამახვანი ჰესის“ პროექტთან დაკავშირებით სხდომა გაიმართა

Natia Turnava ve Levan Davitashvili'nin katılımıyla Parlamento'daki komitelerin ortak oturumunda, Namakhvani HES projesiyle ilgili güncel konular tartışıldı.

Toplantıya milletvekilleri, uzmanlar, enerji uzmanlarının yanı sıra sivil toplum kuruluşları temsilcileri ve "Rioni Gorge Savunucuları" katıldı.

Bakan, projedeki nüfusla daha fazla etkileşim ihtiyacından ve bu bağlamda birkaç özel format yaratma olasılığından bahsetti.

Yatırımcı ayrıca şirketten daha fazla sosyal sorumluluk almaktan ve nüfusu bu sürece dahil etme ihtiyacından bahsetti.

Arazi özelleştirmesi konusuna da dikkat edildi. Bakana göre, Namakhvan Hidroelektrik Santrali durumunda, koşulsuz arazi devri söz konusu değil. Sadece hidroelektrik santrallerinin yer alacağı arazi yatırımcı şirkete devredilecektir.

Bakana göre yatırım şartlarının yerine getirilmesi karşılığında arazi devri yıllardır kabul gören bir uygulamadır ve sadece belirli şartların yerine getirilmesi karşılığında yapılır.

Bununla birlikte, bu konuda daha fazla netlik için, Ekonomi Bakanı özel bir grup oluşturmaya başladı.

პარლამენტში კომიტეტების გაერთიანებულ სხდომაზე ნათია თურნავასა და ლევან დავითაშვილის მონაწილეობით „ნამახვანი ჰესის“ პროექტთან დაკავშირებული აქტუალური საკითხები განიხილეს.

სხდომას, დეპუტატებთან ერთად, ექსპერტები, ენერგეტიკოსები, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციებისა და „რიონის ხეობის მცველების“ წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

მინისტრმა პროექტთან დაკავშირებით მოსახლეობასთან მეტი კომუნიკაციის საჭიროებაზე და ამასთან დაკავშირებით რამდენიმე კონკრეტული ფორმატის შექმნის შესაძლებლობაზე ისაუბრა.

ასევე ისაუბრა ინვესტორი კომპანიის მხრიდან მეტი სოციალური პასუხისმგებლობის აღებასა და ამ პროცესში მოსახლეობის ჩართულობის აუცილებლობაზე.

ყურადღება გამახვილდა მიწის პრივატიზაციის საკითხზეც. მინისტრის თქმით, „ნამახვანი ჰესის“ შემთხვევაში არ ხდება მიწის უპირობო გადაცემა. ინვესტორ კომპანიას გადაეცემა მხოლოდ ის მიწა, რომელზეც უშუალოდ განთავსდება ჰიდრონაგებობები.

AK YIL ZEMIN ARKAS GEORGIA LLC EM Ermed GEORGIA İŞBANK KOÇ KABLO LC WAIKIKI ნაბახტარი MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports Ziraat Bankası

მისი თქმით, მიწის გადაცემა საინვესტიციო პირობების შესრულების სანაცვლოდ წლების მანძილზე მიღებული პრაქტიკაა და მხოლოდ გარკვეული პირობების შესრულების სანაცვლოდ ხდება.

თუმცა, ამ საკითხის მეტი სიცხადისთვის ეკონომიკის მინისტრი სპეციალური ჯგუფის შექმნის ინიციატივით გამოდის.

Gürcistan ve OMV Petrom, Karadeniz'de petrol üretimi konusunda bir anlaşma imzaladı
საქართველოსა და OMV Petrom-ს შორის ნავთობის მოპოვების ხელშეკრულება გაფორმდა

Gürcistan'ın Karadeniz sahanlığındaki petrol arama ve çıkarma işlemleri, Avusturyalı enerji şirketi OMV Group'un bir üyesi olan Romen OMV Petrom şirketi tarafından gerçekleştirilecek. Şirket ile ilgili sözleşme bugün hükümet idaresinde imzalandı. Böylelikle Gürcistan, petrol ve doğalgaz aramalarının olduğu Karadeniz havzası ülkelerine katıldı.
Sözleşme, Karadeniz'in 25 yıllık kıta sahanlığı (5282 km2) üzerinden petrol ve gaz çıkarmak için jeolojik ve jeofizik verilerin çıkarılmasını, elde edilmesini, işlenmesini ve yeniden yorumlanmasını içeriyor.
Gürcistan Petrol ve Gaz Kurumu, Karadeniz ruhsat sahasının petrolden çok doğal gaz arzı açısından daha cazip olduğuna inanıyor.

საქართველოს შავი ზღვის შელფზე ნავთობის ძიებისა და მოპოვების სამუშაოებს რუმინული კომპანია OMV Petrom-ი განახორციელებს, რომელიც ავსტრიული ენერგოკომპანია OMV ჯგუფის წევრია. კომპანიასთან შესაბამის კონტრაქტს დღეს მთავრობის ადმინისტრაციაში მოეწერა ხელი. ამით საქართველო შეუერთდა შავი ზღვის აუზის იმ ქვეყნებს, სადაც შელფურ ნაწილზე ნავთობისა და გაზის ძებნა-ძიება მიმდინარეობს.

კონტრაქტი გულისხმობს შავი ზღვის კონტინენტურ შელფში (ფართობი 5282 კმ2), 25 წლის ვადით გეოლოგიური და გეოფიზიკური მონაცემების მოპოვებას, შეძენას, დამუშავებას და ხელახალი ინტერპრეტაციას - ნავთობისა და გაზის მოსაპოვებლად.

საქართველოს ნავთობისა და გაზის სააგენტოში მიიჩნევენ, რომ შავი ზღვის სალიცენზიო ბლოკი არსებული მონაცემებით, ნავთობზე მეტად, ბუნებრივი აირის მარაგებით უფრო მიმზიდველია.

AK YIL ZEMIN ARKAS GEORGIA LLC EM Ermed GEORGIA İŞBANK KOÇ KABLO LC WAIKIKI ნაბახტარი MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports Ziraat Bankası

Doğrudan Yabancı Yatırım 2020 Yıllık ve 2020 IV Çeyrek
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 2020 წლის წლიური და 2020 წლის IV კვარტალი

Ön verilere göre, 2020 yılında Gürcistan'daki doğrudan yabancı yatırım hacmi 616,9 milyon ABD doları olarak 2019'a göre yüzde 52,9 daha az oldu. Düşüşün ana nedeni, birçok işletmenin Gürcistan'da ikamet eden kişinin mülkiyetine geçmesi ve bu da doğrudan yabancı yatırım miktarını 340,5 milyon ABD doları azaltmasıdır.

წინასწარი მონაცემებით, საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 2020 წელს 616.9 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 52.9 პროცენტით ნაკლებია 2019 წლის დაზუსტებულ მონაცემებზე. შემცირების გამომწვევ უმთავრეს მიზეზად სახელდება რამდენიმე საწარმოს გადასვლა საქართველოს რეზიდენტის საკუთრებაში, რამაც პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მაჩვენებელი 340.5 მლნ. აშშ დოლარით შეამცირა.

Gürcistan'da 2015-2020'de doğrudan yabancı yatırım (milyon ABD doları)
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში 2015-2020 წლებში (მლნ. აშშ დოლარი)



2020 ön verilerine göre en büyük üç yatırımcının toplam doğrudan yabancı yatırım içindeki payı yüzde 95,3 oldu. İngiltere yüzde 49,9 ile ilk sırada yer alırken, onu yüzde 27,9 ile Hollanda ve yüzde 17,5 ile Türkiye izliyor.

En büyük doğrudan yabancı yatırım hacmi 400,3 milyon ABD doları ile toplam doğrudan yabancı yatırımın yüzde 64,9'u ile finans sektöründedir. İkinci sırada 101,5 milyon dolar ile madencilik sektörü, üçüncü sırada 71,8 milyon dolar ile gayrimenkul sektörü yer alıyor.

Ön verilere göre, Gürcistan'da 2020'nin 4. çeyreğinde doğrudan yabancı yatırım hacmi -102,8 milyon ABD doları olarak gerçekleşti. Düşüşün ana nedeni, birkaç işletmenin Gürcistan'da ikamet eden kişinin mülkiyetine geçmesi ve bu da doğrudan yabancı yatırım miktarını 294,6 milyon dolar azaltmasıdır.

AK YIL ZEMIN ARKAS GEORGIA LLC EM Ermed GEORGIA İŞBANK KOÇ KABLO LC WAIKIKI ნაბახტარი MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports Ziraat Bankası

სამი უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნის წილმა მთლიან პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში, 2020 წლის წინასწარი მონაცემებით, 95.3 პროცენტი შეადგინა. პირველ ადგილზე გაერთიანებული სამეფო იმყოფება 49.9 პროცენტით, მეორეზე - ნიდერლანდი 27.9 პროცენტით, ხოლო მესამეზე - თურქეთი 17.5 პროცენტით.

ყველაზე დიდი მოცულობის პირდაპირი უცხოური ინვესტიცია საფინანსო სექტორში განხორციელდა და 400.3 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 64.9 პროცენტია. მეორე ადგილზე იმყოფება სამთომოპოვებითი მრეწველობის სექტორი 101.5 მლნ. აშშ დოლარით, ხოლო მესამეზე - უძრავი ქონების სექტორი, 71.8 მლნ. აშშ დოლარით.

წინასწარი მონაცემებით, საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 2020 წლის IV კვარტალში -102.8 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. შემცირების გამომწვევ უმთავრეს მიზეზად სახელდება რამდენიმე საწარმოს გადასვლა საქართველოს რეზიდენტის საკუთრებაში, რამაც პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მაჩვენებელი 294.6 მლნ. აშშ დოლარით შეამცირა.

Gürcistan'da 2018-2020'de doğrudan yabancı yatırım (milyon ABD doları)
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში 2018-2020 წლებში (მლნ. აშშ დოლარი)



İlk koronavirüs aşısı partisi 13 Mart'tan itibaren Gürcistan'a ulaşacak
საქართველოში კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინა 13 მარტიდან შემოვა

Gürcistan Sağlık Bakanı Ekaterine Tikaradze'ye göre, ilk koronavirüs aşısı partisi 13 Mart'ta Gürcistan'a planlanandan bir hafta önce ulaşacak. Ona göre aşılar ülkeye aşamalı olarak tanıtılacak. Bakan, aşılama sürecine tıp birliklerinin aktif katılımını vurguladı. Ona göre, sağlık personeli yüksek öncelikli bir gruptur ve aşının ilk dozları onlara yöneliktir. Bu nedenle,

tıbbi derneklerin bu sürece katılımı, doktorların aktif bir modda aşılama süreci için önemlidir.

AstraZeneca aşısı ilk olarak ülkede tanıtılacak. İlk aşamada 43.200 kişi aşılanacak ve ülkeye ek AstraZeneca dozları getirildikten sonra yeniden aşılama yapılacaktır.

საქართველოს ჯანდაცვის მინისტრის, ეკატერინე ტიკარაძის განცხადებით, საქართველოში კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინის პირველი პარტია დაგეგმილზე ერთი კვირით ადრე, 13 მარტიდან შემოვა.

მისივე ინფორმაციით, ვაქცინების შემოტანა ქვეყანაში ეტაპობრივად მოხდება.

მინისტრმა ხაზი გაუსვა ვაქცინაციის პროცესში სამედიცინო ასოციაციების აქტიურ ჩართულობას. მისი თქმით, სამედიცინო პერსონალი მაღალი პრიორიტეტის ჯგუფია და ვაქცინის პირველი დოზები სწორედ მათთვისაა განკუთვნილი. შესაბამისად, აღნიშნულ პროცესში სამედიცინო ასოციაციების ჩართულობა მნიშვნელოვანია, რომ ექიმების ვაქცინაციის პროცესი აქტიურ რეჟიმში წარიმართოს.

ქვეყანაში თავდაპირველად „ასტრაზენეკას“ ვაქცინა შემოვა. პირველ ეტაპზე 43 200 ადამიანი აიცრება, ხოლო მათი განმეორებითი აცრა მას შემდეგ მოხდება, რაც „ასტრაზენეკას“ დამატებითი დოზები ქვეყანაში შემოვა.

Korona Virüs

კორონა ვირუსი

Gürcistan'da doğrulanmış korona virüs vakalarının sayısının düşüş eğilimi devam ediyor. Bu hafta içerisinde doğrulanmış vaka sayısı 2115'e ulaştı (ortalama: 302 kişi/gün). Tespit edilen vaka sayıları ile Tiflis bölgesi tekrar ön sıradadır.

Son istatistik verilerine göre Gürcistan'da doğrulanmış korona virüs vakalarının toplam sayısı 274 377'e ulaştı. Can Kaybı – 3 634, iyileşenlerin sayısı – 267 764, aktif vaka ise – 2979. Halihazırda hastanelerde 1310, otellerde ise 130 kişi tedavi görüyor, 245 kişi ise karantinadadır. Son verilere göre ülke çapında 2 934 244 test yapıldı.

Dünya çapında ise korona virüs vakalarının sayısı 119 milyona aşmıştır. Worldometers'e dayanarak, vakaların sayısı – 119 207 974 Can Kaybı – 2 643 712, iyileşen kişi sayısı – 94 797 065. En çok vaka sayısı ABD, Hindistan, Brezilya, Rusya ve İngiltere'de görülmüştür.

ბოლო კვირის განმავლობაში საქართველოში კორონა ვირუსის დადასტურებული შემთხვევების რაოდენობის კლების ტენდენცია გრძელდება. მიმდინარე კვირას დადასტურებულ შემთხვევათა რაოდენობა 2115-ს უტოლდება (302 კაცი საშუალოდ დღეში). ინფიცირების მაღალი მაჩვენებლებით ისევ დედაქალაქი გამოირჩევა.

საბოლოო სტატისტიკური მონაცემების თანახმად კორონა ვირუსით ინფიცირებულთა რიცხვმა საქართველოში 274 377 შეადგინა. აქედან გარდაიცვალა 3 634, გამოჯანმრთელდა 267 764, ხოლო 2979 აქტიური შემთხვევაა, რომელთაგანაც 1310 სტაციონარული მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება, 130 პაციენტი კი სასტუმროში გადის მკურნალობას. კარანტინის რეჟიმშია 245 ადამიანი. ქვეყნის მასშტაბით ჯამურად 2 934 244 ტესტი გაკეთდა.

კორონა ვირუსით ინფიცირებულთა რიცხვმა მსოფლიოს მასშტაბით, ბოლო სტატისტიკური მონაცემებით 119 მილიონს გადააჭარბა. Worldometers-ის ცნობით, ჯამში, ახალი ვირუსით 119 207 974 ადამიანი დაინფიცირდა, გარდაიცვალა 2 643 712, ხოლო გამოჯანმრთელდა 94 797 065 პირი. ყველაზე მეტი ინფიცირებული აშშ-ს, ინდოეთს, ბრაზილიას, რუსეთსა და დიდ ბრიტანეთს ჰყავს.

Resmi Kur Göstergeleri / ოფიციალური გაცვლითი კურსი

GEL/USD – 3.3241 TRY/GEL – 0.4459 EUR/GEL – 3.9770 GBP/GEL – 4.6401

USD/GEL

05 – 12 Mart 2021

USD/TRY

05 - 12 Mart 2021

TRY/GEL

05 – 12 Mart 2021

ALTIN – 54, 981.80 kg/usd

05 - 12 Mart 2021



AK YIL ZEMIN ARKAS GEORGIA LLC EM Ermed GEORGIA İŞBANK KOÇ KABLO LC WAIKIKI ნაბახტარი MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports Ziraat Bankası